

**ქალი, როგორც იარაღი - „ისლამურ სახელმწიფოში“:
როგორ ხდება რეკრუტირება და რა ფაქტორები განაპირობებენ ქალების
ტერორისტებად ქცევას.**

ნონა ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გვალია

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020**

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნონა ნოზაძე, 10.07.2020

აბსტრაქტი

ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის. მისი მთავარი მიზანია სახელმწიფოთა ქცევისა და პოლიტიკის შეცვლა საერთაშორისო ასპარეზზე. ტერორიზმის ადამიანებისა და მატერიალური

ფასეულობების განადგურებით. მათ იმედი აქვთ შექმნან დაძაბულობის ეფექტი, რომელიც შეიძლება გავრცელდეს მომავალ თაობებზეც. ტერორისტებს სურთ, რომ „მტრებმა“ დრო და ფული დახარჯონ უსაფრთხოების გასაძლიერებლად. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქალი ტერორისტები.

ტერორიზმის ექსპერტები, ფსიქოლოგები და პოლიტიკის მეცნიერები ხშირად მონაწილეობენ ფსიქოლოგიურ კვლევებში, რათა გაერკვნენ, თუ საიდან მოდიან ქალი ტერორისტები, რა არის მათი ასეთი ქცევის მიზეზი და რატომ მიმართეს ძალადობის ამ ფორმას. ჩვეულებრივ, ვარაუდობენ, რომ ქალს უნდა ჰქონდეს დეპრესია, სუიციდური მიდრეკილება ან ფსიქიკური აშლილობა. ყველაზე ხშირად ითვლება, რომ მამაკაცმა აიძულა იგი გაეკეთებინა ეს. ამასთან, ხანგრძლივმა კვლევებმა აჩვენა, რომ ფსიქოპათოლოგია და პიროვნების აშლილობები ტერორისტებს შორის უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე სხვა ადამიანებს შორის.

წინამდებარე ნაშრომის მთავარი თემაა ქალი ტერორისტის ფენომენის კვლევა. მნიშვნელოვანია განვიხილოთ და დავადგინოთ, თუ რა განაპირობებს ქალთა ჩაბმას ტერორისტულ საქმიანობაში, რა მიზნები ამოძრავებთ მათ და როგორ ხდება მათი რეკრუტირება. აქ კი განხილულია კონკრეტული საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია - „ისლამური სახელწმიფო“.

ნაშრომი შედგება შესავლისგან, ორი თავისგან და ოთხი ქვეთავისგან. მოცემულია დასკვნა და რეკომენდაციები კვლევაში დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: ისლამური სახელწმიფო, ტერორიზმი, ქალთა როლი ტერორიზმში, თვითმკვლელი ტერორისტი ქალები.

Abstract

Terrorism is a global threat for the entire international community. The main goal of terrorism is to instill fear and uncertainty among the civilian population. By destroying people and material values, they hope to create the effect of tension that could spread to future generations. Terrorists want the "enemies" to spend time and money to strengthen security. It should be noted that female terrorists have played an important role in this in recent decades.

Terrorism experts, psychologists, and political scientists are often involved in psychological research to find out where female terrorists come from, what is the reason for their behavior, and why they resorted to this form of violence. It is usually suggested that a woman should have depression, suicidal tendencies, or mental disorders. It is most often believed that a man allegedly forced her to do this. However, long-term studies have shown that psychopathology and personality disorders are less common among terrorists than among other people.

The main theme of this paper is to discuss why female terrorists emerge, what their motives are, and how they are recruited by a particular terrorist organization, the Islamic State

The paper consists of an introduction, two chapters, and four subsections. A conclusion and recommendations are given regarding the problem posed in the study.

Key words: ISIS, terrorism, the role of women in terrorism, suicidal terrorist women.

მადლობა

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს და კონკრეტულად პოლიტიკის მეცნიერებების/საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის შესაძლებლობისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ - გიორგი გვალას, რომელმაც საკვლევი თემისა და მეთოდოლოგიის შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია.